ა (ა) ი ბ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

23. 07. 2012 №91

თბილისი

სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის
მეცნიერი თანამშრომლებისა და განყოფილების ხელმძღვანელების
ვაკანტურ თანამდებობებზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის 2012 წლის 18 ივლისის №1076 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებისა და განყოფილების ხელმძღვანელების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსი.
2. მეცნიერ თანამშრომლების კონსურსი ჩატარდეს 2012 წლის 20 სექტემბერს, ხოლო განყოფილების ხელმძღვანელების 31 აგვისტოს.
3. განაცხადების მიღება, მეცნიერ თანამშრომლების კონსურსისათვის დაიწყოს 2012 წლის 17 აგვისტოდან და დასრულდეს 2012 წლის 17 სექტემბერს, ხოლო განყოფილების ხელმძღვანელების კონკურსისათვის 2012 წლის 27 ივლისიდან 27 აგვისტოს ჩათვლით. საბუთები მიიღება ინსტიტუტის შენობაში, მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 60, (IV სართული, ოთახი №423). 10 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
4. დანართი №1-ს შესაბამისად დამტკიცდეს მეცნიერ თანამშრომლების, ხოლო დანართი №2-ით განყოფილების ხელმძღვანელების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.
5. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე